



# თეატრი და სხეობა




საქართველო სალიტერატურული ჟურნალი

თბილისი, 20 თებერვალი  
№ 8 — 1916

ფასი  
10 კ.

წელიწადი  
მ ე ო თ ხ ე

ვიღივას ხელის მოწერა 1916 წ. შ.  
"თეატრი და სხეობა"  
(წელიწადი მეთხუთხე. (იხ. მე-2 გ.)



თედო სახოკია

ციმბირიდან გაქცეული, შარაზში ცხად-  
ვრთბდა. მთაწერობაში ნობა დართო საქა-  
რთველში დაბრუნდეს.



უკვე იბეჭდება  
ვეკლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# რუსო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება  
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედევათათაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნი ამოსვლის ეაშს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან. 50 პა.)

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“ -ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის ხუროთმოძღვრული ჟურნალი იშრომისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წალიწავლი  
მართვა

### თეატრი და ცხოვრება

წალიწავლი გამომცემი

წალიწავლი  
5 მან.  
ნახ. წლ.  
8 მან.

1916 წლისათვის

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა ვარსება, პროგრესული მიმართულებისა  
ჟურნალში ხუროთმოძღვრული ხარისხით დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თვეითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მალათოვის კუჩ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილი





# № 8

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: **Тифлиси, Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**



**წელიწადი 8 ი ო ტ ნ ბ**

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაბეჭდვება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 8

შ ა ბ ა თ ი, 20 თებერვალი

1916 წ.

## 20 თებერვალი

1905

ახალი თეატრი

ქუთათურებს დიდი საეროვნო საქმის გაკეთება განუზრახავთ—ახალი თეატრის აშენება!

ძლივს საყოველთაოდ ცხად ქმნილა, რომ მშენობაში, რომელსაც „თეატრი“ ეწოდება, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად რიგიაწარმოადგენების მართვა.

და რაკ ეს ცხად იქმნა, ქუთათური მოწინავე საზოგადოება ფიქრობს ააშენოს ახალი თეატრი, ახალი არა მხოლოდ სხეულით, არამედ სულითაც, თუ შეიძლება ასე ითქვას...

გაზ. „მეგობარმა“ ამ საგანს რადენიმე სურათდებო წერილი უძღვნა. წერილთა მთლიანი არკვევენ, როგორი თეატრი უნდა აშენდეს, რა სახსრით, და, სხვათა შორის, რითხოვენ „მიემართოთ საზოგადოებას დაგეგმაროს და თავისი წვლილის გამოდებითი შეგვიწყოს საქმის განხორციელებაში“-ო. ა. მ. კრინიციკის მოხსენება მეგ. № 109).

განზრახვა და მოწოდებაც ფრიად საგულისხმოა და, იმედია, ყურად იღებენ, ვის უფლაც ატოვებს სამშობლო ხელოვნების მისწვლა...

ზედმეტია, გავარკვიოთ, თუ რა დიადი კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ერის აღორძინებაში ხელოვნების ტაქარის—თეატრს,—ჩვენი საზოგადოება იმდენად მომწიფებულია, რომ მისი საჭიროება ნათლად აქვს გათვალისწინებული...

ვისურვოთ მხოლოდ, რომ ქუთაისის თეატრის აშენებას სათავეში ხალისიანი, საქმის მკოდნე-მოყვარულნი ჩაუდგნენ, მონაწილედ

გაიხადონ საქალაქო და საფინანსო დაწესებულებანი და, რაც შეიძლება, დროით ააშენონ ახალი თეატრი, რომ ნაყოფიც ნადრევი მიიღონ: ქართული ხელოვნების წინსვლის გზა გააპოხებონ და მისი ქურუმთა გვემასაც საზღვარი დაუდონ...

### გაჭირვების ბალკევისნი

ხომ გაგიგონიათ გაჭირვების ტალკევისი? და სწორედ ასეთი ტალ-

კევისნი გახლავან შალვა დადიანი, ქუთაისის წლევიანდელი სეზონის მწარმოებელი, და იუზა ზარდალიშვილი, ბაქოს წრის რეჟისორად მიწვეული...



**შალვა დადიანი**

წელს ქუთაისი იქნება სისტემატიურ წარმოდგენებს არც კი ღირსებოდა, რომ შ დადიანს თავი არ გამოეღვა და საქმე არ ეკისრნა...

ქუთაისის დასის მესვეურ-რეჟისორი.

ჩვენი საზოგადოება იცნობს მას, როგორც მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და ქართული სცენის დაუღალავ მუშაკს... თითქმის ოცი წელიწადია რაც იგი სამშობლო სცენასა და მწერლობას ემსახურება მკირდრი სახსრით, მაგრამ დიდი გულით, უსაზღვრო სიყვარულით...

და, აი, დღეს, შაბათს, 20 თებერვალს ქუთაისის თეატრში მისი ბენფეისი—მანობის

საღმრთოწოდებელი წარმოდგენა ("გაიდაქრილი მუხა") იმართება...

ქუთათურებმა დღეს უნდა გამოიჩინონ, რადგან ადგამებზე თვისი სულიერ საზრდოს მიმწოდებელ მუშას...

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელიც წელს



ბაქოს დრამ. წრემ თითქმის სეზონის დასაწყისშივე მიიწვია რეჟისორად, რადგან აღდგ მიწვეული ჩვენნი ნიქიერი მწერალ-რეჟისორი, ე. შალიკაშვილი, ავადმყოფობის გამო სოხუმს გაიგზავნა საბაქოს წრის რეჟისორი მკურნალოდ. ი. ზარდალიშვილი დღემდე განსაკუთრებით მსახიობად იყო ცნობილი, მაგრამ მოიცალა ასპირენი და იგ. შედლენისა და გვარად, პირნათლად გაუძღვა მძიმე მოვალეობას: გაპირებულით ეტალკეხეს...

ბაქოს საზოგადოება კვირას, 21 თებერვალს, იხილავს მას საბენეფისო წარმოდგენაში ("ყიანლები") და გულნაკლულიც არ დარჩება. იმედია, არც ბაქოს საზოგადოება დისტოვებს გულნაკლულად ნიქიერ მსახიობს.

### მოგზაურობა

### სისხლის წვეთისა

ეკიმი ივ. თიქანძე

თუ საზოგადოთ, უფედეგებრი ცოდნა საჭიროა და სანარგებლო, თვისი საკუთარი სეუული-სა და აგებულების ცოდნა უზირველეს საჭიროებას შეადგენს.

სამეცნიერო წიგნებით ზგენი მწერლობა მუცათ ღარბობა.

ამის მიუხედავად ბევრი ტერმინების უქნლობას სთვლის.

ჩვენნი ენა იმდენათ მდიდარი და განვითარებულია, რომ შეუძლებელია, ტერმინები არა გამოვლინო. ტერმინები მართლაც არის, მაგრამ ჩვენ სამწესობროთ არ ვიცით, თუ რამდენათ განვითარებულია ქართული სამეცნიერო ენა, ამის

საუცხოვრო მკაცროთ წარმოდგენს კვლამ ივ. თიქანძის იმოგზაურობა სისხლის წვეთისა.

რამდენი სინა, მინდა ამ წიგნის შესახებ რეცენზიის დაწერა, მაგრამ ვერ მოვახერხე: არის ზოგჯერ ისეთი წიგნი, რომლის სიღამახე და მომხიბვლელობა არავითარ რეცენზიაში არა თავსდება. სწორეთ ისეთია ზატეცემული თიქანძის წიგნი.

თუ ასე უბრალოდ, მარტივი და ვეგლსათვის მისაწდომი ენით შეიძლებადა სამეცნიერო წიგნის დაწერა, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

ისეთი რთული ირგანობით, როგორც თავი და ვერა, ისე სხვა ენით არის დაწერილი და ახსნელი, რომ სულ მოუხმადებელ მკითხველს შეუძლია გაგება ადვილათ.

ზოგჯერ მეცნიერება მსსეკრზლად ეწირება ადვილათ ახსნით ცატრეპას. ატორი ადვილი ენით აჯისნით, მაგრამ მისი ახსნა მეცნიერული არ არის სრულიად. ბ. თიქანძის წიგნი ამ მხრივად გამონაკლისა: სიმარტივე და მეცნიერება თანაბრად არის დატული შიგ და ერთად შედგებული; თავდან ბოლომდე წიგნი მეცნიერულია არის დაწერილი, ერთ უაღბ ახსნას ვერა ვხვდებით შიგ; ამჟებ დროს ბირდაბირ გასათვარს სიმარტივე, სიტხადე და სიღამახე შიგ დატული.

წიგნის დიდ დაჩრებას საუცხოვო ტერმინები შეადგენს.

ავტორს საფუძვლიანათა აქვს შესწავლილი და გამოთრევეული სანანტომია და სთფიზიოლოგია ტერმინები.

მთელი წიგნი ისეთის ხსდლისათა და ცატრეპით იკითხება, როგორც მხიარული მოთხრობა.

დიდი შრომის, დიდი ენერჯიის დასაჭრებას საჭიროა, რომ ასეთი წიგნი შეადგინო. მაგრამ მარტო შრომა არა ემარა. საჭიროა ცოდნა.

ავტორი ხმარობს ჟანგბადს; კეთილმთავანების გულისთვის მე ვამჯობინებდა ჟანგბადს, როგორც ხმარობენ სხეულები. უბა უურა ჟირკვალს ვამჯობინებდი უურის ძირა ჟირკვალს, რადგანაც ება-უურა ერთგვარი ავადმყოფობათა ამ ჟირკვლის და სდი ამჟებლის სხელებად მგონია გამოუსადეგარი აქნება.

დიდი მადლობის ღირსია-ზატეცემული ავტორი, რომ ასეთი იშვიათი წიგნით გაამდიდრა და დაამშვენა ჩვენი სამეცნიერო მწერლობა და





თვით წიგნი კი ღირსია, რამე ყოველ ქართველ  
ოჯახში ჰქონდეს მას სანატია ჯაჯი, შთო უმე-  
ტეს რამე წიგნი ღამაზათ ჯრის გამოცემული \*)  
და შეტათ იაფიას.

ავტორი



საზოგადო მოღვაწე  
თავ. ნ. რ. ერისთავი

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულებას გამოა

# ცრემლები სულისა

ა.

ვის უკითხავს, თუ რათ ჩქრიალებს თა-  
ვისუფლად გიფი ჩანჩქერი, ან რათ ნავარ-  
დობს კილით-კიდემდე ლალი გრიგალი?

ვის უკითხავს?!

ან, ვის რა უნდა, რათ ბუტბუტებს გი-  
ფი ჩანჩქერი; რათ ბუტბუტებს ლალად და ან-  
ცად?

ან, ვის რა უნდა, თავისუფლად რათ და-  
ნავარდობს გიფი გრიგალი?!

ან ვის რა უნდა, ან ვინ კითხულობს!!

მაშ, ვის რა უნდა, მეც თავისუფლად  
ვინავარდო?!

მე ხომ ადამიანი ვარ!!

ვის რა უნდა, ჩემი გულს სიღრმიდან,  
ხან სიხარულის, ხან სიმწუხარის ხმები ამო-  
სკდეს!

რათ კითხულობთ, თუ რათა ვსტირი, ან  
რათ ვიმღერი?!

\*) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ, შემკუ-  
ლია მრავალი სურათით, შეიცავს 88 გვ. და ღირს  
35 კაპ.

ვის რა უნდა ამ გულმა, რომელიც გსო-  
დენ სიყვარულს ინახავს, სიმშულვარეც ატა-  
როს!!

მე ხომ მინდა ლალი ვიყო, ვით თვით  
ჩანჩქერი, მე ხომ მინდა ლალი ვიყო ვით ქა-  
რუშხალი?!

მე ხომ მინდა თავისუფალი ვიყო, ვით  
თვით ცხოვრება!

მაშ, ვის რა უნდა, რომ ის გული, რომელიც  
ერთგულდების საღაროა, მაცდურიც  
იყოს!!

ვის რა უნდა ამ გულმა, რომელიც ცეცხლს  
ატარებს, ყინულიც იქონიოს?!

ვის რა უნდა!

ვინ რათ კითხულობს?!

მე სიყვარულიც ვარ და სიმშულვილიც.  
მე ყველაფერი ვარ, რადგან სახელი ჩემი  
სტიქიონია!!

ჰო, და ვის რა უნდა, ან რათ კითხუ-  
ლობს, თუ რათა ლაღობს ჩემი ბუნება.

ბ. ს მ მ დ ა.

ხა, ხა, ხა! ვიცინი. სევლით ვხარხარებ!!  
მეტყვიოთ რათ ვიცინი, როცა უნდა ვსტი-  
როდე!

და განა სულ ერთი არ არის? ვის რა  
უნდა რათ ვიცინი?

განა ქარიშხალს ეკითხებიან ხოლმე, თუ  
რათ ზუზუნებს?!

მაშ, რათ გინდათ გითხრათ, რათ ვხარ-  
ხარებ, როცა უნდა ვსტიროდე?!

თქვენ ყური უგდეთ მხოლოდ ჩემს ხარ-  
ხარს. მე ვხარხარებ, რადგან არც მე ვიცი  
რათა ვხარხარებ!

გ. ს ი ხ ა რ უ ლ ი.

ცრემლი მცვივა. ვსევლიანობ.

სევდა და ცრემლი.. ტანჯვა-სიხარულ-  
თან... ტანჯვა სიხარულით შექმნილი. სიხარული  
ტანჯვაში ამოქსოვილი...

— განა შეიძლება?!

რათ მეკითხებით, განა მე თვით ვიცი  
რათა ვსევლიანობ, როცა უნდა ვიცხოვდე?!

დ.

ეს განა ბევრიც რომ იკითხოთ, გაიგებთ  
როგორი ვარ?!



ვერა! რადგან არც მე ვიცი.  
 მინდა თავისუფალი ვიყო, ვით ქარიშხა-  
 ლი და მონა ვარ!  
 მინდა ნიავად ვიქცე და ნელა ვბუტბუ-  
 ტებდე, მარა ვქარიშხლობი!  
 დაე, მაგრამ მე მიინც მინდა ლალი ვიყო,  
 ვით ცის გრიგალი, გიჟი ვიყო, ვით ქარიშ-  
 ხალი...

ქ. ბაქო.

ქია ჩიანჯი

# მ ა მ ა !

ერთხელ ვახილე შენს თვალთა სიღრმე-  
 ში მოციმციმე მწველი სხევი და მას შემდეგ  
 ვეღარ ვპოვე სიმშვიდე სულის.

სიყმაწვილის ცეცხლი მსურდა აღმეგზნო  
 შენს საკურთხეველზე, მაგრამ თვით მე დაევი-  
 წვი, დაეფიქრე შენს თვალთაგან გამონა-  
 კრთობ ცეცხლის ნაპერწკლით. შენზე ოცნე-  
 ბით გავატარე სიცოცხლის დღენი, მაგრამ  
 ვერ გავიგე შენდამი მძულვარებით, თუ სი-  
 ყვარულით იყო მოცული სული ჩემი.

მშვიდ, სურნელგან თეთრ ღამეს, შენ  
 ოდესმე ესტუმრე ჩემს საკანს. იმ დროის შე-  
 ნი სხეული ბრწყინავდა უმანკოებით, ვით ყვა-  
 ვილის მკერდი მისის ნაშით. შენი ხშირ წამ-  
 წამთა რხევა წავაგვდა ვერხვის ფოთოლთა  
 ნახ შრიასს.

დიღბანს მეგზივინენ კისრზე შენი თმის  
 ნაწნაეები. დიღბანს გორავდა ჩემი თავი, შენს  
 მკერდზე აზვირთებულ ტალღათა შორის...

ვენების ფერხულში მომტაცე ნაწილი სუ-  
 ლიერ მზე-სი, ვენებით აღერსში გამოინაკე-  
 თა ნაწილი გუ სიყვარულის.

ვით მეძაიე ქალი ფხვარებით გაიპარე  
 განთიადზე ჩემის საკანიდან ან რა განსხვავე-  
 ბა სუფევდა მეძავთა და შენ შორის ამ დამს-  
 შემდეგ?

იმ დღიდან აღარ შეგვევდრ-ვართ ერთ-  
 ურთის, შორით დანახვაც კი მოგვაგონებდა;  
 თუ ოდესმე როგორ ამოვისვარეთ ვენების მო-  
 რევიში, როგორ შევეცოდეთ წმიდა სიყვარულს.

ხშირად ვეღინებოდი სიხშირად ჩემს გა-  
 ნაწამებ სულს, ვით ძღვეის სკიპტრა, ხელთ  
 გეპყრა ნაწილი სულიერ მზე-სი და ნახად

არწვედი მას, ვით ნიავი ლერწმის ხარო ტანს.  
 შენს მეუღლის ბაღში ხშირად გადმოვი-  
 პარულვარ ღამით, რომ ღია ფანჯრიდან სან-  
 თლის შუქზე დამენახა ნაყოფი ჩემი სიგიჟის,  
 მაგრამ შენს შვილებს შორის ვერ ვიხილე ის!  
 რა უყავ? ვის კარებზე დასტოვე შალ-  
 ში გახვეული?

რა უყავ ნაყოფი გიჟ სიყმაწვილის?  
 ქუჩის შვილთა შორის ვეძებ მას, იქნებ  
 მშვიერთა და მწყურვალთა შორის იზიარებს  
 სიცოცხლის ტანჯვას?

ჩვილ ყრმათა საფლავთა შორის ვეძებ ჩემ  
 საყვარელ შვილს, იქნებ გულქვავო სასიკვდი-  
 ლოდ გასწორე იგი? მაგრამ პაწია საფლავთა  
 დუმილი არასდერს უ მობოზს ჩემს განაწამებს  
 სულის.

მითხარ რა უყავ იგი!  
 ყვარჯენზე დაყრდნობილი მოხუცი მამა  
 ეძახის თავის შვილს: სადა ხარ, შვილო! ერთ-  
 ხელ მინც დაენახე შენს ბედკრულ მამას!  
 ერთხელ მინც შეაჩერე ცრემლები მამის  
 თვალთა დაწვევებზე. შესაძლოა სიცოცხლე გა-  
 ნაწამები შვილიც მამას უხმობს უკანასკნელ  
 წუთს.

მითხარ, წყევულო, რა უყავ იგი! სად არის  
 შვილი ჩემი? უკანასკნელ წუთებში მინც  
 აღირსე მამა-შვილს ერთურთის ხილვა.

თბ. ხომალთნიშე

# ჰ ა რ ი ს კ ა ც ი

II

(დასურათბატებული ლ. გუღიაშვილის მიერ)

(გ რ ძ ლ ე ბ ა ი ბ . „ თ . დ ა ც “ № 7)

— აბა, თქვენ იცით, როგორ ქკუით და  
 ყოჩაღათ იქნებით — მეორე დღეს დილა აღ-  
 რიან ეღუნებოდა ვანო თავსიანებს: — უნდა  
 გამოგიტყდეთ, ჩვენი ჯარი ეხლა ისეთ აღ-  
 გას მიღის, რომ იქიდან დაბრუნება ბედნიერს  
 ეღირსება, მარა თქვენ ამით სულით წუ დაე-  
 ცემით. . . ოჯახი გვიარიანათ გაქვე მოწყობი-  
 ლი. . . იშრომეთ, ერთმა მეორეს გაუგონეთ  
 და, თუ წახტეს საქმე. . . ეს ბავშვები გამომი-  
 ზარდეთ. . . უკანასკნელ სიტყვებზე ვანოს





გული აუჩვილდა, და პარი მიიბრუნა, რომ ცოლისა და მშობლებისათვის ცრემლები არ დაენახებინა, მაგრამ გვიანა იყო... იმათი თვლებიდან ცრემლის ნაკადულს გზა უშვე ეპოვნა.

— ნუ წახვალ, ვანო, ნუ... სიკვდილში მიხვალ?!. თუ ჩვენ არ გებრალეებით და არც შენი თავი, ბაღნები მაინც შეიბრალე... გულის ამოსკვნით ქვითინებდა ქმრის ერთგული პისტი.

— ეს შეუძლებელია... ეს ხომ დალატი იქნება!.. რაც მომივა მომივა... გთხოვთ, თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქვთ, და ჩემლით და გამიგონეთ. მე ანდერძის თქმა არ მომკლავს... ყველა მეომარი მზათ უნდა იყოს სიკვდილისათვის... სულელია ის, ვინც ცეცხლში შედის და იქიდან ცოცხლათ ფიქრობს გამოსვლას... პისტი! გთხოვ როგორც ნამდვილ მეგობარს: თუ საქმე წახტეს, რაც უნდა გასაქირი დაგადგეს, ამ ოჯახს ნუ მიატოვებ და ეს ბაღნები შენ ამოზარდე... თუმცა ვინ იცის, იქნება აწუც ისე გადავრჩე, როგორც აქნამდის. — ხმის კანკალით უთხრა ვანომ საყვარელ ცოლს და გრძნობით აკოცა.

საბარლო მამა. გოგი ფუნთუშა ლოყაზე და-ცემულმა მამის ცრემლმა გამოაღვიძა... ბავშვი წამოდგა, თვლები მოიფშენიდა და მამას პურის მოტანა მოაგონა:

— მამა, პუპუ... დიდი პუპუ...

— კი, შვილო, მოგიტან პუპუს; ეხლა დაწეკი და დაიძინე.— კიდევ აკოცა ხუჭუჭა თავზე და დააწვინა. გოგიმაც გვერდი იბრუნა და უღარდელად კვლავ ჩაეძინა.

— აბა, ცხლა კი მშვიდობით... გრცხვე-ნოდეს პისტი... შენ სტირი, როცა მე უნდა მამხნეებდე... ნუ სტირი, მამა, მე ისევ მოვალ, ნუ გეშინიათ... მშვიდობით ყველა. — ვითომ ყოჩაღათ წამოიძახა და ჩქარის ნაბიჯით სახლკარს მოშორდა...

— ოხ... ღმერთო... წყეული იყოს ომის მომგონი, — ამოიგმინა მან, ერთხელ კიდევ შეხედა საყვარელ სახლკარს და თითქმის სირბილით დაეშვა ფართე შარა-გზით...

ახლად ამოსული მზის სხივები კი თვალეში უქიატებდა, უცინოდა ჩვენს მიწავალ მგზავრს, თითქოს დასცინოდა ადამიანების უგუნურ ქცევას...

(დასასრული იქნება)

ს. ჩემონიძე

ხელაოვნების მოკლე ისტორია

თ ა ვ ი |

ხელაოვნება ეგვიპტისა, ასურეთისა და ფინიკიელებისა.

საერთო ხასიათი ეგვიპტის ცივილიზაციისა. ჭკორფატმა სიქვა: აუკავებტე ნიღოსის ძღვენაოა და მართლაც ეგვიპტელები ამ დიდებულ წელის მონაღკე ნაიდატე მოსახლეობენ და თავის ცხოფრების სახსარს უოგელ წიფიუნად სწორედ ამ წელის მოდიფებისაგან დებულაბუნ, რადგან ამითა ნუფიფერდებუა ნიღოსის უზარმაზარი ველი. იმ დროშიაც, როგორც ეხლა, ეგვიპტე უღანრებით იყო განშეიფორტეუფი და ცხოფრება მხოლოდ ნიღოსის ნაბრებუკ სდუდა და ტადმოდიფა, რადგან ცხოფრების სახსარს მამიხაც ნიღოსის უფირებუი იძლეოდა. ვინ იფე-



— გრცხვე-ნოდეს, ვანო... გრცხვე ნოდეს... მეტს... აფერს... გეტყვი... — გუ-

ლის ამოსკვნით ქვითინებდა ბედშავი პიტი — ღმერთი, ღმერთი და ჩვენი სისაწყლევ გადაგვიჩენს, შვილო, შენს თავს... ღვთის მშობელი იყოს შენი მჟარეელი... უთხრა და გულზე მიიკრა მართამ შვილი...

— მშვიდობით, ჩემო საყვარლებო... ჩემო ბტრედებო — მიძინარე ქალ-ვაჟს ეამბორო



ნენ ძველი ეგვიპტელები, რომელი მოდგმის, რა ტომის, გამოურჩეველია, მხოლოდ ვიცი, რომ მათი ეს ენათესავება სემიტურს. ძველს შორეულს ხანაში ეგვიპტელები წარმოადგენდნენ რამდენსავე დამოუკიდებელ მოდგმას, მაგრამ ბოლოს ერთმა ვიღაც მუნქსმა სკოთ იგრო უფლებსა და დაარსა ეგვიპტის სამეფო (დაახლოებით 5000 წელს ქრისტეს შობამდე).

ეგვიპტის ისტორია საზოგადოთ ოთხ დიდ პერიოდთ იყოფა: ერთი შემეფისის თავის სტატუს ქალაქით შემეფისთ (უბირის ხედი); მეორე თიბაიდის, რომლის განმავლობაშიც უფრო ხშირად სტატუს ქალაქად თიბადა იყო; მესამე სისის, სტატუს ქალაქ სისით და აგრეთვე დელტის სხვა ქალაქებით და მეოთხე არის პერიოდი საბერძნეთის მიმდებარების.

ხელოვნების ისტორიის ეპოქების სწორედ ამ პერიოდებში აღმოჩნდა უნდა დაიწყო, რადგან ამ ყაზად ხელოვნების ისტორიაც შეესაბამება ასეთ დაყოფას.

შემეფისის პერიოდი შეიცავს ეგვიპტის ცივილიზაციის სრულს აღორძინებას და აყვავებას, რაც უნდა ვთავაზობთ, რომ ნათელია წინანდელ საუკუნეთა მთელი რიგის მომზადებისა. ამის შემდეგ კი მივიდნენ ეგვიპტელები ბუდ-იბაბლი დროებითი ინტელიტებს ქანანელებს, ანუ მწვერულისა და კიდევ გიქსთა შემოსევიით, მაგრამ ბოლოს მაინც ეგვიპტე გამარჯვებული გამოდის განსაზღვრულიაგან. იგი იპურებს სირიას, აფართოებს თავის საზღვარს ტიგრსა და ეფრატამდე (VXII სუკი; ქრისტ. შობამდე) და რამზეს II-ის დროს უმაღლეს მწვერვალამდე დღევანდელ მისი ცივილიზაცია. ამის შემდეგ კი ვერ ასურელები და შემდეგ სპარსელები მიერ დაპყრობილი და დაპყრობილი ეგვიპტე მხოლოდ ბერძნეთს ხელში დგება ისევ ფეხზე და იკრებს ძალას (330—30 წელს. ქრ. შობამდე). აღექანდრე მკვერთელი სარდლის ბრძოლამისათვის შთამომავალ შექმნა ეგვიპტეში ბერძნული კულტურა, მაგრამ იმავე დროს ხელ-უხლებლად სტოვიკენ ძველს ეგვიპტურ კულტურასაც.

ეგვიპტელები საზოგადოთ არ იყვნენ ბუნებით მომრად დაბადებულნი, თუმცა მრავალი ომიც გადაუხდათ და მრავალი ქვეყნიბიც დაუპყროთ. ისინი უფრო ხასიათით წყნარნი და სთონნი იყუ-

ნენ და დიდის მორჩილებითაც იტანდნენ სიძულეს მტერთა მომძღვრებას. ამიტომაც ისინი დიდს დუთის მოსაზნი იყვნენ. მათა მრავალ-რტიხეობანი დემერტობი, რომელთაც წმინდა ცხოველთა სხვა მწმინდთ მიწვეული (იბისი, ხარი, შევარდენი და სხვ.), რა—მსე, ოხირისა—დემერტი სიკეთისა, სეტო—დემერტი წყვადლისა, ეს ეგვიპტელს ეგვიპტელს წარმოადგენდა ჭკეფდა, როგორც ერთა დემერტის გამოსახელება და მთელი მისი რწმენა სიკეთის ცხოვრებაზე იყო მიპყრობილი. სიკვდილის შემდეგ კაცის სული უნდა წარუდგას ოხირისს. „წიგნი მიცვალებულთა—ლოცვთა და ბძნულ ახრთა კრებული, რომელიც უოველ მუშის თან ახლავს—გვამნობს ამ სამსჯავროს ხასიათს. თუ სული დამნაშავე იყო მრავალ ტანჯვის შემდეგ აქცეულა ანარად და თუ უმანკო, მისინი განწმენდის შემდეგ დემერტის გუნდში იტარდა ადგილს, სჭვრეტდა უსუნაქს ანის და შემდეგ უერთდებოდა მას.

ეგვიპტური ჭიშკები და ლოცვები აღსავსეა პოეტურ სურათოვნებით და ეს არის კიდევ მისი მსხვერპელი, თუ რა გავლენა ჭიშკნა რეალურ ციან ხელოვნებაზე.

რადღობა შენდა, მუდამ გზაზე და მუდამ ახლად წარმოშობილ შემურვილო, არსო უოველ დღე თავისთ-თავ დამბადებულ!

რადღობა შენდა, პირველ-ყოფილ უკანასკნელად გამოქვეყნებული და მის შენაქმთა სიტყვების მომნიჭებელი, რომელმან შექმენ სამკარ და მიქფინე სიღმუშეობა სიგრესს!

რადღობა შენდა! ოდეს შენ ხეივანე ცნობისა, შენმა თანამხელე დემერტობმა აღმოუტვირთ უკეთის სიხარულისა—აი ესე რადღობენ ეგვიპტელები მზის დემერტის რა-ს. სხვა აღსავსე ეგვიპტე დემერტი გამოხატულია მდგომი წმინდა ნაშეი რხელი-ნელ მოქანავე ციურ წყალთა ზვირთობზეა და თან ახლავს გუნდ დემერტობისა. რკითლის მყოფელი, სხივიცხოველი, აღმოსილი. იგი ეველკან ჭიფენი სიტყვებია და სიხარულს.

(გაგრძელება იქნება)

*ს. მ. მ. მ.*







# ომის მსხვერპლი

ჩხუბში წაგვართვეს, რაცხა გერმანია...



პირო. დავით ერემიძე ანთაძე

წაგვადანა სედილობდა. სწორდა მოთხრობებს, მინათორებს, ხოლო ჭერჭერობათ არ აქვეყნებდა. აქვე მოგვყავს ბრძალის ველზე დაწერილი და თავის დასთან გამოგზავნილი გურული სტენა, რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის.

## უქმობთ დაჩქენილნი

### გურული სტენა

— დილა მშვიდობის, ჩემო სოფიო!

— ღმერთმა მშვიდობა და კარგათ ყოფნა ნუ მოგაკლოს, გულო, ივლიტე. სად ყოფილხარ, ქალო, ასე ღორის გამოზამდის?

— აგერ ღობიროში ვიახელი, ჩემო სოფიო, იმ მგელის მოსაკლავი ძროხა გადავდენე ქალო. ისე გაშრა, ისე გაშრა, რომ ერთი ნაწყვეტა რომ არის, იმასაც ვეღარ ვჩეხები და ვფიქრე გეგმა ცვარიანი ბალახი მოუხდეს მეთქი. წამოვხტი ცის იალონზე, მოეწყვეთ იგი სამგელი, მარა აფერი არ ჰქონდა ძუძუში, და ძუნძულ-ძუნძულით გადავარბენიე ღობიროში...

— ყორიფელი-ყორიფელია, ჩემო ივლიტე, მარა ამ ადერებმა თლათ მომსპო ადამიანი. გეხედავ და სულ წვიმს ქალო. ისე ჩაღბა რაცხა ორი კოტა სიმიანი იყო, რომ ქრისტიანი კაცი ერთ ნაჟუნტელასაც ვეღარ იშოვის. ყურძენი ხომ აღარა და აღარა... ხო და რავე გინდა სიცოცხლე ახლანდელ დროში. მომუშავე ხელი გვყავდა და იგი ხომ

— ქალო, მეცა და ღმერთით მალე მოვესწრებით სიყეთეს... ვახაფხულდეს და ნახავ იმ ჩვენი ქმრები შვილობიანად დავგიბრუნდებინათ.

— შენს პირს შეჭარი და კრიპუტი, ჩემო სოფიო. მაგას ველირსებოდე თვარა ერთი ნახარდა მყავს იმასაც კი დავკლავ. მუჟყრი შენისთანა კარგ მენობლებს თავს და სულ „ოროლოღეს“ ვაძახებებ.

მაგი მაგია და იმ საუცხოვო ამბავი ქე მაგიწყდებოდა.

— რაი, ქალო, იმისანა საუცხოვო რაია? შენი გერასიმე ხომ არ მოსულა?

— გერასიმე არ მომსვლია, მარა იმისანა ამბავს გეტყვი, რომ სულ ვაგაშტერებ.

— თუ მეტყვი ქე მითხარი ბერა თვარა, ნუ გამაყრყურე ივანიკას ავლის ხესავით.

— ქალო გევიხედე წუხელის საღამოს და ვინცხა აფიცერი მოახრიკინებდა ჩვენსკენ ფიტონს. მივაშტერე გიჟსავით თვალეზი, მარა ვერ ვიცანი. ვიფიქრე ვინმე დიდი კაცი იქნება მეთქინ და ქე წივედი სახლში.

— მალე თქვი თვარა მიძახიან სახლში გულო.

— ხო და, ქე წავედი სახლში, ვთქვი ყაძხთან და არ მოიშალა და წვევიდა ქიხოსროსკენ. საღამოს ქიხოსროს თებრონიამ გაღმეირბინა და იმან მითხრა რომ, ჩემი ძმა ყორეკი მევიდა აფიცერიო. ჯერ, გულო, გონს ვერ მოგვიდა, რომელი ყორეკი ჰყავდა ქიხოსროს! ერთი გოგილიე ჰყავდა, დიდი ხანია სახლში არ იყო და ალბათ იმან თუ მიიღო აფიცრობა მარა იმ ყორეკი რათ დაათქვეს მეთქინ. გამიხარდა, და მეც ქე გაღვირბინე... ხომ იცი, ჩემი გერასიმე რომ არის, საღდათში წაიყვანეს შენთან და იქნება იმანაც იშონოს შენი წყალობით აფიცრობა მეთქინ.

— რავე, ქალო, გერასიმას ვინ მისცემს აფიცრობას?... იგი ხომ ნასწავლი არ არის!

— არა, ქალო, ახლა ყველას აძლევენ თურმე აფიცრობას და ქალიც რომ წაფიქრეს იმასაც კი მისცემენ.

— არც მისთავა, გულო. აფიცრობის შო-



ნა ძნელია. ვილაცას შენტვის მოუტყუებია...  
 —ხო და გადავიარე და ქე ვიცანი აი ჩვენი გო-  
 გილიე. ისე დინჯათ იჯდა და მუსაიფობდა,  
 რომ ყვინი გეგონებოდა. შევეხვეწე ჩემი შვი-  
 ლის წაყვანა მასთან და ქე დამპირდა. ახლა,  
 ქალო, ნიჩმა ჩემმა გვარონჯა ციკამ გადავი-  
 რო და მეც ენახამო. აბა რას გახთები ამ  
 ქირის გასაწყვეტ ციკებთან!? დამიწყვიტა  
 ბაღნები, არბენია სოფელ-სოფელ ზოგი პუდ-  
 რიხა, ზოგი უმარილიზა და ამ დილას აპირობს  
 გადაარებას. წუხელის არ უძინია, პირის ბა-  
 ნით გადძრო ლოყაზე ტყავი.

— აი აია და მე ქე დავაგვიანე სახლში  
 და ხომ იცი ჩემი ხორცლალი ბაღნების ამბა-  
 ვი. ცოცხლათ შემქამენ, თუ ამ დილას კვე-  
 რი არ გამოუცხვე და ქვილი კი არ მაქ...  
 მასესხე, ქალო ერთი ჩენჩილა ქოთან ქვი-  
 ლი...

— კი, გულო, შენ კი გასესხებ მარა  
 არავის უთხრა, თვარა ქე გამომიციენ საქ-  
 ფილეს; აი მე ჩენჩილიაო, აი მე დატენილიო  
 და მეტი კი არ მაქვს... ხო და შეებეროს  
 ღმერთმა იი ჩვენი გოგოლიე მის პრაპორკიკო-  
 ბაზე...

— ახლა კი მშვიდობით, ჩემო გულო.  
 ღმერთმა შენი თავი მიმყოფოს კარგათ. გამო  
 ვაგზანი გოგოს და რომ დამპირდი ერთი ჩენ-  
 ჩილა მასესხე თვარა დატენილს რავა გაგი-  
 ბედაე!?

დავ. ანთაძე

# ყვავილები

\*\*\*

გუშინ ვინც რომ ოფლსა ღვრიდა  
 ქარხნებსა და მინდორ-ველადა,  
 დღეს ისინი ველად ჰყრიან  
 ყვავ-ყორნების საკორტნელად...

ეხ, ჩაგრულნო! სიცოცხლეში  
 სულ ცრემლს ღვრილით ყრუ ქვეითინით,  
 და დღეს კი დღეს . ვახ, ბედშენო!  
 სიკვდილიცა თქვენ დაგცინია!!!

ღრუბელი

# ჭ ა მ ა ნ ჩ ა ლ ა ს ი მ ე ბ ი

ინჰუენტი ანგუსკიდან

ო, რა მწვავა ეს ოცნებანი!  
 შენ, მთვარე, ღრუბელთ მწვერვალში კვდები.  
 სიმთ ეხებოდე ამდენი ხანი  
 და სინათლეში ვერ სცნო სიმები!  
 ვილას უნდივართ? ვინ მოუკიდა  
 ორ ყვითელ სანთელს, ორსა მქმუნვარეს?  
 ქამანჩას კაცმა ხელი მოჰკიდა  
 და შეუერთა სიმებს მგზნებარეს.  
 რადენმა გავლო! ამ ნაზ ღამეში  
 სთქვი: იგივე ხარ, რაც რომ იყავი?  
 და მკრთალ სიმების მკრთალ სიამეში  
 კენესდა მუდარა შორს გამრიყავი.  
 ჩვენ ხომ არას დროს, არას დროს მეტად  
 არ დაფშორდებით ერთმანეთს? — კმარა!  
 პასუხი სიმებს ვერ გავებდათ,  
 ქიანურის გულს სწავდა იარა.  
 ქამანჩა მიხვდა... სდუმს ვით წყვილი...  
 ხმა ქიანურში არ სდუმდებოდა  
 და ტანჯვა იყო მათთვის დიდი,  
 რითაც მსოფლიო ასე სტკებოდა.  
 მაგრამ სანთლები აღამიანმა  
 აღარ დააქრო. კენესდენ სიმები.  
 და შეგ ხავერდზე დილამ მზინამა,  
 ნახა ისინი ძალ-მისხილები.

ვალ. გაფრინდაშვილი





გაბრიელ გვციკაშვილი

გარდა 20 წ. შესრულების გამო.

სონეტები

I

ანგელოსისა რად მიჩვენე სახე მზიური,  
 თუ ასე აღრე დასკვნებოდა იმედის ვარდი?  
 თუ არა გრძნობდი, დამაძნობდა ნაღველი-დარდი,  
 თუ არ შეგეძლო სიყვარული წმინდა, ღვთიური,  
 ანგელოსისა რად მიჩვენე სახე მზიური?

ერთხელ გიხილე, შემდეგ ვიწვი როგორც ფარვანა,  
 სინათლის უშუალო მოხიბლული, მოტყუებული,  
 უნუგეშობით დატანჯული, დამწუხრებული—  
 შენმა შეხვედრამ ისე დამწვა, ისე მანანა,  
 და შემდეგ ვიწვი, ვიფერფლები, როგორც ფარვანა.

ახ, შუშანიკა! შუშანიკა! რად შემეყვარდი,  
 რომ მომიწაპლე წუთიერი ბედნიერება?  
 თუ სიყვარული დალატია და ცბიერება,  
 თუ ასე სკვნება გაფურჩქნული იმედის ვარდი,  
 ახ, შუშანიკა! შუშანიკა! რად შემეყვარდი?!

II

მე უშინობას ვერ ავიტან, —აღრე მოვკვდები,  
 ამ შეყვარებულ გულს სამარე დაეყარება,  
 მაგრამ, ძვირფასო, სიკვდილითაც ვერ გაგშორდები, —  
 შენი სახელი თან წამყვება და შეყვარება.

ჩემს სიცოცხლეში ერთხელ გნახე ტურფა სადარი,  
 მაგრამ უეცრად დამეფლდა ისევ ნაღველი,  
 ახლა დავდივარ და ვკითხულობ: „—სატრფო სად არი?  
 სად არის ჩემი უკვდავების გამომსახველი?“

სატრფოვ! მისმინე, აღმისრულე ეს სათხოვარი:  
 რადგან ვეწამე, სიყვარულმა რადგან გამრიცხა,  
 როდესაც მოვკვდე, ჩამასვენე სადა კუბოში  
 და შენი ხელით ამოსკერი ზედ: „—შუშანიკა!...“

ბ. ჩხვიჭიძე

ჩემი პრომეთე

ვინ შეედრება ჩემს სულის კერპს, ჩემსა ღვთაებას,  
 ან ვინ აიტანს ჯოჯოხეთურ მისებრ ვაებას?  
 თუმცა დიდი, უბადლოა იმისი ქირი,  
 მაგრამ ამ ქირშიც მზიარულად უცინის პირი!  
 ის პრომეთეა, შერისხული გმირი პრომეთე,  
 და მეც წყველილმა, მის ბედისამ, ის გავლმერთი!  
 ვინ შეედრება ჩემს მეუფეს, ჩემსა ღვთაებას,  
 ან ვინ აიტანს ჯოჯოხეთურ მისებრ ვაებას?!

ქართული



ლუკა სიკი. თათიშვილი (1860—1916)

სახალხო მოღვაწე-მწერალი,  
 სწერდა „ივერია“-ში (დაბეჭ.  
 „ჯორჯს ამაჟი“ და სხ.). 1895 წ.  
 ცაღე წიგნად გამოსცა: 1) დი-  
 დი ისტორიულ-ლეგენდარული,  
 დასურათებული, პოემა „სიყვარ-  
 ული“, ერთგული ჭანგათ გა-  
 ჟღენთილი; 2) „რესონანსი და  
 წამება წმ. მთწამთა დავით და  
 კონსტანტინესი“, 3) „დაშინის  
 გულის ნაღვსი და წრფელი სინ-  
 დისის დაკითხვა“, 4) „პაპიანი“  
 —წრილ ლექსთა კრებული. დარ-  
 ჩა ბევრი ხელნაწერი, მათში  
 ორი დიდი ნაწარმოები. ნაწე-  
 რებში განსაკუთრებით ჩვენს  
 ერთგულ აღმრძლებს შესტრ-  
 ფოდა და ენატრობდა, რომ  
 „მწ სამშობლოს დავა გული  
 ნეტარება დედრუნებინა“ („სი-  
 ვარული“), მაგრამ ვერ ეადრსა  
 და გარდ. სოფელში თებერ.



# გ რ ი კ რ ტ ი

მაგის სამ მოქ. და ოთხ სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 7)

## მოკამდება მიორა

(ბახარა. სტენაზე მოსხანს ორი დუქანი მანინ: სუასხობა და თორნე. სუასხობს ზედევე შვეჩილე- ულობის განყოფილება აქვს. ხაღხა მადარაბს. თორნის წინა ზის მუჭურე და კრიაფოსანს ათა- მასებს. ესაბა სედრაკა შვეჩანდის ჭნამავს )

|

### სანდრო და სედრაკა.

**სანდრო.** დანამე, დანამე, სედრაკა, იქნე- ბა მუშტარს თვალი აუხვიო, თორემ ძალიან დამუქნარა ეგ შენი ზებერტუშეა.

**სედრაკა.** მაგის დარდი ნუ გაქვს! ერთი მიყურე როგორ ზგავარადალაგო! ყველა- ფერს შნო უნდა არა! შენსაიოთ დოცლობა კი არა ვარ! კვირაში ნახევარ ფუთ ხმელ პურ- სა ჰყრი. დაუწონე რაღა, მიაყოლე და ანგა- რიშიში სწორეთ გამოსვალ.

**სან.** დაუწონე, მაგრამ რომ არ მიიქეთ!

**სედ.** არ მიიქეთ რომელია მუშტარს გა- ნა მაგდენს ვალაპარაკებ! რა დავიღია ხახა და მუშტარსა ჰკითხავ: „какой жалайт“, არ- ჩევენ ში შვეა, მაშ რას იზამს! სასწორი ისე უნდა ათამაშო ხელში, როგორც ბარიშა.

**სან.** რა ვქნა, ვერ მოვახერხებ, სედრაკა, ვერა.

**სედ.** უშნო რომა ხარ, იმიტომ ვერ მო- ახერხებ. არა, მაგას რა დიდი პრაფეცორობა უნდა. ახალი პური დადებ და ის ხმელიც და- ვესკათ ზედ მიაყოლე. ისე ნიმუტში უნდა აუწორო და კარხინკაში ყლაბა გაადინო რომ მუშტარმა „ზამეჩანია“ ვერც კი მოასწორს. თანაც უტეც უნდა ჰკითხო: „можетъ быть лавашъ жалаите?“ ამ ლაპარაკში სულ და- ვიწყდება შენ „დავესკა“ დაუწონე თუ არა. მაშ, შენ ეს ოთხები იცი?

**სან.** ყველაფერს შნო უნდა, ჩემო სედრაკა.

**სედ.** ვა, ვაპრობას შნო უნდა მაშ შნო თუ არა გაქვს დაკეტე ლუქანი და წაიღი... ეჭ, მახლას... არა ეს ბოიკოტია თუ რაღაც ჯან- დაბა, რაღა ეხლა გამოაცხადეს! ამისთანა ქე- სატობას ესაღ უნდოდა!

**სან.** რას იზამ, სედრაკა, მოსავალია.

**სედ.** მოსავალი რომელია, კაცო! მოვაქ- რე კაცმა მუშტარს არაფერი მიჰყიდო, მაშ ამდენ ხარჯებს როგორ უნდა გაუძლო. აქ გოროლოვს უნდა ჩააყოლაო, იქ აკალოშნიკს აქამო, იქ პრისტივს ამოულო! კიდევ ვინ მო- სთვლის სხვა რამდენი ხარჯები აქვს ლუქანს! თუ არას გაყიდი მაშ პური რითი ვქამო! ეჭ, ძალიან ცუდი დრო დავვიღებ, სანდრო, ცუ- დი!.. ეხლა რომ ვაქარბა ფული მაიგოს, გა- ლიცინის ჭკვა უნდა მე და ჩემმა ღმერთმა.

**სან.** სედრაკა, თუ ძა ხარ, ერთი ლუქანს უყურე. აგერ მივალ მეფეკილესთან და ეხლა- ვი დავბრუნდები.

**სედ.** (სანდროს) წაიღი, წაიღი ძაო, მე შენ გითხრა მუშტარი თავპირს მამტერევეს, რომ თავი ვერ გავართო. (სანდრო გადის, სე- დრაკა ჩამოჯდება და ხუნჯის) ეჭ, ცეცხლია, რაღა ცეცხლი ღმერთმანი. როცა პატენტი არა მაქვს ის პიანიცა აქსიზნი არ მიშვებს, რომ რამე გავყიდიო. პატენტს ივიღებ— ეს ხალხი არ მიშვებს ვივაქრო. არ ვიცი, ღმერთ- მანი, როგორ უნდა ვიცხოვრო ამ დროება- ში! ეხლა ვიცი პოლიცია დამეცნებ თავზე, თუ რატომ საქონელს არ ჰყიდიო? რა უნდა უთხრა, აღარ ვიცი! რომელ ერთს გადაურჩე. ან ერთი ამომაყოფინებს თავს ირკუცკი გუ- ბერნიაში, ან არა და მეორე გამისტუმრებს საიქიოს ექსტენცი პოეზითი! (გამოხნდება იღია ლუკიჩი, უკან მოუყვება ბესარიონი კახათით.)

||

### იგუეკი, ილია ლუკიჩი და ბესარიონი

**ილია.** გამარჯობა, შენი სედრაკა!

**სედ.** (მიხედა-მიხედავს და თავისთვის დაპარაკობს) რა ვქნა ეს ოხერი დალაპარაკე- ბისაც მეშინიან. (იღია ლუკიჩის) ღმერთმა გა- დღეგრძელოს!

**ილია.** სედრაკა, ხორცი მინდა, რივიანი ნაქერი გექნება შენახული, შენ ძველი ჯა- დლო ხარ! (იფინის)

**სედ.** ბევრიც რომ მქონდეს, მაინც ვერ მოგყიდი.

**ილია.** რათა, რა ამბავია! როგორ ჩემ ფულს დალი არა აქვს!

**სედ.** რა ვქნა, გოსპოდინ ილიკო, და-



ლიცა აქვს და არიოლიც, ჰამა ჩემი ცოდო რათ გინდა. ცამეტ კაპეიკათ ხორცი გავყვილო გირვანჯა და იმისთვის თავი მოვაკვლევიწო?

**ილია.** სედრაკ ეგენი რათ გინდა ჩემთან. შენ რიგვიანი ხორცი რომეცი და ათი შაური აილე გირვანჯაში.

**სედ.** (შიხედ-შიხედვას) ჰა, მიიტა ფული რამდენი გინდა?

**ილია.** აწონე ეგ ნაჭერი სულ რამდენია და წავიღებ. (აძღვეს ოცდა სულ მანათანს. ამ ღრწს გამაჩნდება ორი გაფიცულთაგანი მუშა)

**I მუშა.** კიდეც ცოტა ხანს მელგარი სულიერი განწყობილება და ღიბაძეს გავწყვიტავთ წელში. (მუშები დაინახვეს ილიასა და ბესარიანის სახსობაში და უყბო შეჭურდებიან)

**II მუშა.** (სედრაკაზე უთითებს ბიწვებს) ჰხედავ მაგ უსინიღისო სედრაკას!

**I მუშა.** უნდა აიღო და იმდენი ურტყა, რომ (მუშები ზიზღით გადაჭყვავენ სედრაკას)

**სედრაკა.** (დაინახავს მათ და შიშით აკანკალებდა, მავრამ თავს იმედს აძღვეს, არ იბნევა და სტდილობს როგორმე გამაჯუთოს სჯამე. ფულს ხორცის კუნძზე დაუგდებს ილიას) არ მინდა, ძმაო არ ვყიდი. ძალით ხომ არ წამართმევ! ჩემი საქონელია, შენი ხომ არ არის! ფულს მახარებ, რა ფულის უნახავი ვარ! (მუშები მიამალებიან)

